პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (19655) ◆ ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქმეთ გამოაჩინა



ნაყოფიერად შრომობენ ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროთაშმართველოს მშრომელები. 6 თვეში მათ ანგარიშზე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული 27 400 ტონა მაღალხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატი. შრომის ზუსტი ორგანიზაციის და დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე აქ 12 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

სურათზე: დიმიტროვის სახელობის მაღაროთაშმართველოს ლია კარიერებში იღებენ მანგანუმს; ექსკავატორის მემანქანე ელდარ მაჭარაშვილი, რომელმაც საშობლოს უპატაკა წლიური დავალების ვადამდე შესრულება.

ა. მამაკარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩაი-86:

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ და საქსახაგრომრეწვის გარდამავალ დროშას

აბასთუმნელთა წარმატება

ზუგდიდი. ჩაის კრეფის წლიური დავალება რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. მან 14 სექტემბრისათვის გადამუშავიდა ელ მრეწველობას ჩაბარა 830 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, რომლის ნაწი ფრაქციის შემცველობა 53 პროცენტს შეადგენს. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეხუთე ბრიგადის მეჩაიეებმა (ბრიგადირი — კომუნისტი ა. კოღუა). მათ ჯერ კიდევ 25 ივლისისათვის შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება და ამჟამად ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში მუშაობენ.

ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას სახელობის საპატიო პრიზის მოსაპოვებლად მრავალი მეჩაიე იბრძვის. მათ შორის უნდა გამოვყოთ როზა ჭითანავა და მიმოზა მელია, რომლებმაც 6-6 ტონა ფოთოლი მოკრიფეს და სეზონის დამთავრებამდე დამატებით ორ-ორ ტონის მოკრეფას ვარაუდობენ.

უამინდობის პერიოდში მეურნეობის ადმინისტრაციამ და პარტიულმა კომიტეტმა სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება, გაანალიზეს მომთხოვნელობა, გაუმჯობესეს შრომის ორგანიზაცია, შემოსული არც ერთი დღე-ყი მოუკრეფავი არ დაუტოვებიათ. სწორედ ამან განაპირობა წარმატება.

აბასთუმნელთა მაგალითს უნდა მიჰბაძონ მეზობელი ცაიშისა და ურთოს კოლმეურნეობებმა, ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ჩაის ნედლეულის დამზადებაში ჩამორჩებიან.

აბასთუმნელ მეჩაიეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა სეზონის ბოლოდე მოკრიფონ 200 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ დიდი ჩაისათვის გაჩაღებულ ძნელ ბრძოლაში.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამუშაო დროის ფონდი

ეთორმეტე ხუთწლიანი გეგმა, როგორც აღინიშნა 1986 წლის ივნისის პლენუმზე, უახლოეს წლებში და პერსპექტივისათვის ჩვენი შუშაობის ძირითადი კარკასია. იგი შეიცავს ეკონომიკის განვითარების დინამიკურ ტემპსაც, ეფექტიანობის დიდ მაჩვენებლებსაც, ცვლილებებსაც სოციალურ სფეროში. ამატომ პარტიული, საბჭოთა და საშეურნეო ორგანოების ძირითადი ამოცანაა არსებითად აამაღლონ საგეგმო დისციპლინის დონე, გაზარდონ პირველადი პარტორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა დადგენილი დავალებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

ამისათვის, რომ უთუოდ დავძლიოთ მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული წარმოების მოცულობის ზრდის მიჯნა, სამრეწველო საწარმოებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ავგისტოში მიეცემული ჰქონდათ დავალებები, რომლებიც მთლიანად მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა და გამოუშვა 922 მილიონი მანეთის პროდუქცია — ნავარაუდევზე რვა მილიონი მანეთით მეტი. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ საამისოდ ყველა ერთნაირად არ გაისარჯა, უკვე აგვისტოს შუა რიცხვებში გახდა ცნობილი, რომ დავალების შესრულებისათვის ბრძოლა ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობდა და ამიტომ ჩამორჩენილი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელებს, მათს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს საქმის ასეთი ვითარების გამო მიუთითეს, მიუხედავად ამისა, ბევრმა მათგანმა არ გამოიტანა აქედან დასკვნა და ჩაშალა დავალების შესრულება. მათ შორის აღმოჩნდნენ „რუსთავის „აზოტის“, თბილისის „ჩაიხმშენებლის“, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, სოხუმის „ორგტექიკის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებები, ქუთაისის ელექტრომექანიკური, ფოთის ელექტროგამაძლიერებლების, თბილისის „ელექტროიზოლატის“, თბილისის საინტერუნენტო ქარხნები, სხვა საწარმოები. თუმცა, რა დამატებით დავალებაზე შეიძენა ლაპარაკი, როცა ზოგიერთ მათგანს რვა თვის ძირითადი გეგმაც არ შეუსრულებია.

მდგომარეობას ართულებს მრავალი საწარმოს ურიტმო მუშაობა, იერიშობანა. ასეთი პრაქტიკა დიდი ხანია დაგმობილია და ეს ერთხელ კიდევ ითქვა გარკვეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს მიმდინარე წლის რვა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და დასახეს ცხრა თვისა და მთლიანად მიმდინარე წლის წარმატებული დამთავრების ღონისძიებანი.

თითზეწეულ აგვისტოსათვის თვიური გეგმა შესრულდა 42,7 პროცენტით და გამოყენებული იყო სამუშაო დროის ფონდის 46,2 პროცენტი. ხუთდღიანი ამისა, აგვისტოს გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამსონ სადელეიშვილი წარმოებამ ამ თვეში 35,8 მილიონი მანეთი შეადგინა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,2 პროცენტი გადიდდა. ზრდის ასეთი ტემპი, რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საქმე გვაქვს აშკარა იერიშობასთან.

ზოგიერთი ორგის მიხედვით მდგომარეობა უარესია. აგვისტოს 24 დღეში, ეს კვთვიური სამუშაო დროის ფონდის 76 პროცენტია, დამზადდა თვიური გეგმით გათვალისწინებული ლითონსაჭრელი ჩარხების 28 პროცენტი, სამგზისტრალო ელმავლების 23 პროცენტი, მინერალურიასუქების 15 პროცენტი, ტრიკოტაჟის საცვლების 27 პროცენტი.

ახლა თქვენ ფითონ განსაჯეთ: შეიძლება თუ არა, რომ თვის ბოლომდე დარჩენილ ერთ კვირაში და უფრო ნაკლებ დროში შესრულდეს გეგმის არჩენილი 72 პროცენტი, 77 პროცენტი და მთ უმეტეს — 85 პროცენტი? და თუ შეიძლება მაშინ რის ფასად? ცხადია, ეთავბოლ იერიშობანას, ფაციფუცის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესების ფასად, მომხმარებლის დაღალატების ფასად, ყველა ტექიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის დაკნინების ფასად. სამწუხაროა, რომ ასეთი სრულიად შეუფერებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი არაფერი კეთდება. ზოგიერთ საწარმოში დაწესებული პროდუქციის გამოშვების ყოველკვირეული აღრიცხვა საქმეს ვერ ადგება.

რაც სამუშაო დროის ფონდი იწურება, თვიური გეგმა კი 27 პროცენტით გაქვს შერულებული, თავისთავად ცხადია, გვერდს აუვლი ეფექტიურულ-ტექიკური პროგრესის დაჩქარების პროგრამას და ვერ ზრუნავ შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებაზე. ამას კი სავალალო მდგომარეობამდე მივყავართ, თავს ვერ ვარიდებთ ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის შესრულებას — შრომის ნაყოფიერების ზრდას, აბსოლუტრი უმეტესობ. იმ 318 საწარმოდან, რომლებმაც შეამცირეს ეს მაჩვენებელი, მარტნელი შესაბამის პერიოდთან შედარებით, ვერ იყენებს თანაბრად სამუშაო დროის ფონდს და მძიმე მდგომარეობაში რდება.

ელზე დამლუპველად იერიშობანა მაინც პროდუქციის ხარისხზეა სახელმწიფოო დისციპლინის დაცვაზე მოქმედებს. ამ ფაქტ განსაკუთრებით გაესვა ხაზი ზემოხსენებულ ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ მსუბუქი და ადგილობრივ მრეწველობის ზოგიერთი დარგის, აგრეთვე მძიმე მრეწველობის ზოგიერთ ბრიგადის ბიუროს ბრიგადირ ბ. ა. ბალაკოვი. ასეთი ფაქტიანი ბრალდებანი ეს ერთ-ერთ ბრიგადირ ბ. ა. ბალაკოვ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშებაკარჩევნები

რამდენიმე კრების შუქ-ჩრდილები

ნაყოფიერი შრომის შემდეგ საველე საგუშაგოზე შეიკრიბნენ ბოლნისის რაიონის რატევნის საბჭოთა მეურნეობის მესამე უგანრიგო ბრიგადის კომუნისტები. ისინი აქ მოვიდნენ პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელზეც შეჯამეს და გააანალიზეს პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად გაწეული მუშაობა, იმსჯელეს არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე, თითოეული კომუნისტის როლსა და ამოცანებზე.

მომხსენებელმა, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელმა მ. აპრესოვმა განაცხადა, რომ ბრიგადამ მეთორმეტე ხუთწლედის ამ პირველსავე წელს გაზარდა პოროეულის მოსავლიანობა და წარმოება, პირუტყვის საკვების დამზადება, შრომის ნაყოფიერება და მოგება. წარმატებები დიდად განაპირობა ბრიგადული იჯარის დანერგვამ, რომელმაც დაიხტერესა ბრიგადის წევრები შრომის საბოლოო შედეგებით. ამას კი, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სასიკეთოდ მოქმედებს გლეხკაცზე. იგი საზოგადოებრივი მეღლისათვის უფრო მეტად გადასდებს თავს, თუ მოწეულ ჭირნახულში თავისიც ბლომად ეგულება. თითოეული მექანიზატორის შრომის საზღაური ახლა თვეში 200 მანეთამდეა, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე ამ ორიოდე წლის წინათ იყო, ასევე ეძლევათ პრემიები ნატურით. პროდუქციას კი ისინი სამჯერ და უფრო მეტს ქმნიან, ვიდრე შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდზე გადასვლამდე.

კოლექტიურ იჯარაზე გადასვლა პარტიული ჯგუფის თაოსნობით განხორციელდა. კომუნისტებმა მოამზადეს საამისო ეკონომიკური საფუძველი. ისინი სისტემატურად იკრიბებოდნენ პარტიულ კრებებზე, სადაც უპარტიო შრომელებსაც იწვევდნენ, მათთან ერთად მსჯელობდნენ, სახავდნენ სამომავლო გეგმებს, დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს მის განხორციელებას, პარტიული დავალებების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულებას, რაც ზრდის კომუნისტების, აქტიურობასა და ინიციატივას. საერთო მონდომებამ ბრიგადა მეგრძოლ კოლექტივად აქცია. იგი მოწინავე გზდა არა მარტო მეურნრეობაში, არამედ მთელ რაიონში.

კომუნისტთა მოქმედებას მუდამ პარტიელის წმინდა სინდისი, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა უძევს საფუძვლად. გასაფხულზე წვიმებმა იმძლავრა, ჭიანურდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამ დროს გულხელდაკრეფილი კი არ დალოდებიან რაიმე წყალობას, ისინი გაუმკლავდნენ სტიქიას. ბრიგადაზე განაწილებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები დროზე დათესეს, დაიცვეს სამუშაოთა ხარისხიც, ჩინებულად მოუარეს ნათესებს, და გარჯაც დაუფასდათ. სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ აქ სისტემატურად მსჯელობენ ჯგუფის კომუნისტთა კრებაზე, როცა რაიმე ნაკლოვანებები იჩენს თავს, არ ჩქმალავენ, მაშინვე ტეხენ განგაშს, აყენებენ საკითხს მის გამოსასწორებლად. ასე მოგვარდა, მაგალითად, ბრიგადის საწვავ-საპოხი მასალებით მომარაგება, რაშიც წინათ დიდი შეფერხებები იყო და ამის გამო ხშირად ცდებოდა ტექნიკა; შედარებით გაუმჯობესდა სათადარიგო ნაწილებით მომარაგება, თუმცა ამ საქმეში სრული წესრიგი ჯერ კიდევ არ დამყარებულა. უკეთ მოეწყო მიწათმოქმედთა შრომისა და დასვენების ორგანიზაცია.

პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც დიდი მომთხოვნელობით, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობდა, აღინიშნა აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებიც.

კომუნისტებმა პ. ოქრიაშვილმა და ვ. ნოხაძემ განაცხადეს, რომ მეტი მუშაობაა საჭირო მშრომელთა იდეური აღზრდისათვის, უნდა ჩავაბათ ისინი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში, გაეცალონ სტენდერების, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების საქმიანობა. რა დასამალია და, ზოგჯერ ისინი მშრომელთა წინაშე ზოგადი და არაფრისმთქმელი ლექციებით, მოხსენებით და საუბრებით გამოდიან და ვერ იპყრობენ მათ გულებს.

საჭიროა უფრო მეტი ქმედითობა მიეცეს სოციალისტურ შეჯიბრებას, პრაქტიკაში დაინერგოს შეჯიბრების შედეგების შეჯამების ყოველდღიურობა, დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ მატერიალური და მორალური წახალისების ფონდები. მეურნეობის დირექციამ პარტიულ კომიტეტთან ერთად მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კულტურული გართობისა და დასვენების ორგანიზაციას, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. გამოითქვა სხვა შენიშვნებიც. კერძოდ, უნდა მოგვარდეს სოფლის მცხოვრებთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი, ამისათვის საჭიროა სოფლის თავში მდებარე წყლის რეზერვუარის მოწესრიგება. მისახედია სოფლის კლუბი, სადაც მუშაობა თითქმის ჩაშლილია, ვინაიდან არ გაიჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ეს კრება იმიტომაც გაიმართა ასეთ მაღალ დონეზე, რომ პარტიის რაიკომმა და მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა მის მოსამზადებლად წინასწარ ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, მოიწვიეს პარტჯგუფორგების თათბირი, სადაც გულდასმით განუმარტეს მათ რა მთავარი საკითხებისათვის მიექცათ უურადღება, კრებებზე მიამაგრეს კომიტეტის წევრები. თავიანთ მხრივ, პარტჯგუფორგებმა კომუნისტებს და მშრომელებს დიდი ხნით ადრე შეატყობინეს მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ, სთხოვეს ჩამოეყალიბებინათ თავიანთი წინადადებანი და მოსაზრებანი.

ასევე დიდი აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის სამთო უბნის, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის სამშენებლო ბრიგადის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის ძრავების სარემონტო საამქროს პარტჯგუფებში, სადაც დასახეს მუშაობის გარდაქმნის სათანადო ღონისძიებანი. მაგრამ ამ ადგილებზეც, რომ ზოგან ფორმალურად მოეკიდნენ ამ საკითხებს და უარყოფითმა შედეგებმაც არ დააგვიანეს. მაგალითად, რაისამომხმარებლო საზოგადოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული ჯგუფები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიუროო არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათ საქმიანობას. გაკვირვებას იწვევს, რომ აქ კომუნისტთა აღრიცხვაც კი მოუწესრიგებელია. საანგარიშო პერიოდი ისე გავიდა, პარტორგანიზაციას ერთხელაც არ უმსჯელია რომელმე პარტჯგუფორგის საქმიანობაზე. აქ საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის წინასწარ სამზადისსაც გვერდი აუარეს. უფრო მეტიც: პარტბიუროს სხდომაზე არ განიხილეს და არ დაამტკიცეს პარტჯგუფებში კრებების ჩატარების ორგანიზაციული საკითხები, წინასწარ არ შეადგინეს კრებების ჩატარების გრაფიკი, არც არავინ მიამაგრეს კრებებზე დასასწრებლად. კომუნისტებს წინასწარ არც კრების ჩატარების შესახებ აცნობეს და ნაუცბათევად შეკრიბეს ისინი. ადმინისტრაციის, ბუღალტერიის, რევიზორთა ჯგუფის პარტჯგუფორგებს მ. არუთინოვს, ნ. ლასკოვინს, ა. ალიევს კომუნისტებისათვის წერილობითი ანგარიშები არ ჩაუბარებიათ. ან როგორ ჩაბარებდნენ, როცა კრებების გამართვა მათ ერთი საათით ადრე დაავალეს.

ამჟამად პარტიის ბოლნისის რაიკომი გულმოდგინედ აანალიზებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების ავკარგიანობას, და ცხადია, გულმოდგინედ მოკითხავენ მათ, ვინც ამ საქმეს ფორმალურად ეკიდება, კერძოდ, რაისამომხმარებლო საზოგადოების პარტიული ორგანიზაციის მდივანს ლ. ხაჭიპერაძეს, რომელსაც კომუნისტები ენდნენ და ის კი ამას ვერ ამართლებს.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სკკპ XXVII ყრილობამ მარცველეულის წარმოების ყოველმხრივ გადიდება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დასახა მიმდინარე ხუთწლედში და შემდგომ პერსპექტივაში. ეს პრობლემა კოლხეთის პირობებში ძირითადად სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით, ენერგეტიკული ბალანსის ... და გადაწყდეს. სიმინდი აქ ... ფიზიკურ-მექანიზირებაში — გადაყვანით აღემატება 30 ათას ტონა ამონიუმის გვარჯილას.

ნათესების სტრუქტურის შეცვლა საშულებას მოგვცემს პერიოდულად 2-3 წლით დავასვენოთ მინდორი სიმინდისაგან და გადავიდეთ აგრონომიულად გამართულ წესიერ თესლბრუნვაზე. საქმე ეხება მემინდვრეობის ღრმა რეკონსტრუქციას მეცნიერების თანამეცოლეობით მიღწეულის საფუძველზე, რასაც ჩვენგან მოითხოვს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. რეკონსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გადიდების დიდ რეზერვად უნდა მივიჩნიოთ.

რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს დიდი ხანია დამუშავებული აქვთ ასეთი თესლბრუნვები კოლხეთის პირობებისათვის, ეს გათვალისწინებულიც არის მიწათმოქმედების გაძღოლის რეკომენდაციებში, მაგრამ სამეურნეო პირობებში პრაქტიკულად თითქმის არსად არ არის შემოღებული.

ამ გარემოებას აქამდე ხელს უშლიდა ნათესი ფართობების ზემოდან დაგებვა, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად: ახლა კი ვითარება ისეთია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ საშუალება თავისუფალი დაგეგმვისა, საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

სიმინდი მეტ გულისყურს მოითხოვს

გარდა ამისა, პატარასანი მეცნიერები ნიადაგის აგროქიმიებენ ბიოლოგიურ ხუთს და ამ გზით ამდიდრებენ მის ნაყოფიერებას. ჩვენ რომ შევიძლოთ კოლხეთის პირობებში დაფარვა 40-50 ათასი ... ტონა ... ეს ... 10 ათას ... ბიოლოგიურ ... რაც ... ფიზიკურ-მექანიზირებაში — გადაყვანით აღემატება 30 ათას ტონა ამონიუმის გვარჯილას.

ნათესების სტრუქტურის შეცვლა საშულებას მოგვცემს პერიოდულად 2-3 წლით დავასვენოთ მინდორი სიმინდისაგან და გადავიდეთ აგრონომიულად გამართულ წესიერ თესლბრუნვაზე. საქმე ეხება მემინდვრეობის ღრმა რეკონსტრუქციას მეცნიერების თანამეცოლეობით მიღწეულის საფუძველზე, რასაც ჩვენგან მოითხოვს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. რეკონსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გადიდების დიდ რეზერვად უნდა მივიჩნიოთ.

რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს დიდი ხანია დამუშავებული აქვთ ასეთი თესლბრუნვები კოლხეთის პირობებისათვის, ეს გათვალისწინებულიც არის მიწათმოქმედების გაძღოლის რეკომენდაციებში, მაგრამ სამეურნეო პირობებში პრაქტიკულად თითქმის არსად არ არის შემოღებული.

ამ გარემოებას აქამდე ხელს უშლიდა ნათესი ფართობების ზემოდან დაგებვა, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად: ახლა კი ვითარება ისეთია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ საშუალება თავისუფალი დაგეგმვისა, საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ცხოვრების ყველა სფეროში ითვალისწინებს არნახულ წინსვლას, ახალი მწვეტრავლების დაპყრობას. მათი შესრულება უაღრესად საპატიო მოვალეობაა ყველა ჩვენგანისათვის. ამ სტატიაში ლაპარაკია მეთორმეტე ხუთწლედის ძირითად ამოცანებზე, პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაციისათვის ეს ხუთწლედი გადამწყვეტი ეტაპია.

ამ სტატიის გამოქვეყნებით გვსურს ერთხელ კიდევ გავამახვილოთ სახალხო მეურნეობის მუშაკების, ყველა მშრომელის უურადღება იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

მიმდინარე ხუთწლედი გადამწყვეტი ეტაპია

ქვეყანა გარდაქმნის პროცესშია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. მეთორმეტე ხუთწლედი არის ძირეული გარდატეხის ხანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რადგან მან განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის დაჩქარების რეალიზაციაში.

მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი თავისებურება ის არის, რომ მან უნდა დაძლიოს ეკონომიკის ზრდის ტემპის არსებითი შენელების ნეგატიური ტენდენცია, რომელიც 70-იან — 80-იან წლებში დაისახა. ამიტომ გეგმით უფრო მაღალი მიზნებია დასახული, ვიდრე მეთერთმეტე ხუთწლედში და ნავარაუდებია იმ პარამეტრების ზედა ზღვრის მიღწევა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობაზე განისაზღვრა.

დაჩქარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს მეთორმეტე ხუთწლიან გეგმას, ვლინდება არა მარტო მთლიანად ეკონომიკისა და მისი უმნიშვნელოვანესი დარგების ზრდის უფრო სწრაფი ტემპით, არამედ აგრეთვე ეკონომიკური მაჩვენებლების ამსოლუტური მატების არსებითი გადიდებით. ასე, მაგალითად, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი მეთორმეტე ხუთწლედში გაიზრდება 124 მილიარდი მანეთით, მეთერთმეტე ხუთწლედის 74 მილიარდი მანეთის ნაცვლად. მრეწველობის პროდუქცია — 200 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 133 მილიარდი მანეთისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება — 29 მილიარდი მანეთით, მეთერთმეტე ხუთწლედის 10 მილიარდი მანეთის ნაცვლად. კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით შესაბამისი მაჩვენებლებია 190 და 107 მილიარდი მანეთი. მთლიანად კაპიტალური დაბანდებანი მეთორმეტე ხუთწლედში 23,6 პროცენტით იზრდება ნაცვლად მეთერთმეტე ხუთწლედის 15,4 პროცენტისა. ეს შესაძლებელი გახდება როგორც ეროვნული შემოსავლის ზრდის დაჩქარების, ისე გამოყენებულ ეროვნულ შემოსავლის დაგროვების ხვედრითი წილის გაზრდით.

1986 წლის განვლილი პერიოდის გეგმის შესრულების მიმდინარეობა უკვე ადასტურებს, რომ დაისახა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარების ტენდენცია, თუმცა ჯერ კიდევ სრულად არ ამოქმედებულა ის ბერკეტები და სტიმულები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა უნდა მოახდინოს ძირეულ ძვრებზე.

მეთორმეტე ხუთწლედის შემდგომი თავისებურებაა სახალხო მეურნეობის ზრდის საფეხურების განსაზღვრა. წინათ ტემპის. მატების სიმძიმე გადატანილი იყო ხუთწლედის ბოლო წლებზე და ეს სათუოდ ხდიდა გეგმის შესრულებას. მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მატების თანაბარზომიერ ზრდას.

მეთორმეტე ხუთწლედი ითვალისწინებს ახალ მიდგომას ეკონომიკის ზრდის წყაროებისადმი და ეს არის მისი შემდგომი თავისებურება. გეგმით გათვალისწინებული მაღალი მიჯნების მიღწევა ეფუძნება ეკონომიკის ზრდის ახალ წყაროებს. კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რეკონსტრუქციას, ხარისხის ძირეულ გაუჯობესებას, ეფექტიანობის ზრდას, მართვის სრულყოფას.

წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობის ზრდა მოიცავს ყველა ფაქტორს და რესურსებს, შრომას, სათბობსა და ნედლეულს, კაპიტალურ დაბანდებებს, ძირითად ფონდებს. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 23 პროცენტით. პირველად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ისტორიაში, ხუთწლედების ისტორიაში ეროვნული შემოსავლის მთელ მატებას მივიღებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით, წარმოებაში დამატებითი მუშახელის გამოუყენებლად.

მეთორმეტე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა და ლითონტევადობა შემცირდება შესაბამისად 8,5 და 14 პროცენტით. სახალხო მეურნეობის დამატებითი მოთხოვნილების ჭარბი ნაწილი სათბობსა და ნედლეულზე დაკმაყოფილდება ამ რესურსების დანაზოგებით.

პირველად უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე მკვეთრად გაიზრდება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, ორჯერ და მეტად შემცირდება ფონდოკოეფიციენტების ტენდენცია სახალხო მეურნეობაში, ხოლო მანქანათმშენებლობასა და მსუბუქ მრეწველობაში ეს პრობლემა მთლიანად გადაწყდება.

მეთორმეტე ხუთწლედში 1,5-2-ჯერ გაიზრდება პროგრესული საბაზო ტექნოლოგიის გამოყენება, მნიშვნელოვნად გადიდდება ახალ ეკონომიკურ სახეობათა მასალების მოხმარება, ორჯერ ამაღლდება წარმოების ავტომატიზაციის დონე. მთლიანად მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მატების ორი მესამედი მიღებული იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვით.

მეთორმეტე ხუთწლედის შემდგომი თავისებურებაა სახალხო მეურნეობის დარგთა მასშტაბური რეკონსტრუქცია, რომელსაც მიზნად ისახავს მთელი სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა. ამ მიზნით კაპიტალური დაბანდებანი 70 პროცენტით გაიზრდება, ხოლო მათი წილი მთლიანად კაპიტალურ დაბანდებაში 1990 წელს 50,5 პროცენტს შეადგენს, 1985 წლის 38,5 პროცენტის ნაცვლად. ეს შესაძლებელს გახდის განხორციელდეს ძირეული ძვრები ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებაში, დაიძლიოს მათი მზარები ფიზიკური და მორალური ცვეთის 1970-იანი წლების უაღრესად ნეგატიური ტენდენცია.

მიმდინარეობის კრებების სტრატეგია

მთლიანად სახალხო მეურნეობის, ისევე როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საფუძველთა საფუძველია მანქანათმშენებლობა. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს მის დაჩქარებულ განვითარებას და სტრუქტურულ გარდაქმნას. ამ დარგში კაპიტალური დაბანდებანი ყველაზე მეტად — 1,8-ჯერ გაიზრდება.

500 მილიარდი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის ნახევარი მოხმარდება აგროსამრეწველო კომპლექსს, სახალხო მოხმარების სასანიაო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სოციალურ-კულტურულ და საბინაო მშენებლობას.

მნიშვნელოვნად იზრდება დანახარჯები შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის. 1990 წელს ხელის შრომით დასაქმებულთა რიცხვი 5 მილიონით შემცირდება. ეს ორჯერ აღემატება მეთერთმეტე ხუთწლედის მაჩვენებელს.

მეთორმეტე ხუთწლედში ხელფასი მოემატება 90 მილიონ მუშასა და მოსამსახურეს, მეთერთმეტე ხუთწლედის 20 მილიონის ნაცვლად. მათი საშუალო თვიური ხელფასი 218 მანეთს მიაღწევს. კოლმეურნეთა შრომითი ანაზღაურება უფრო მეტად — 18 პროცენტით გაიზრდება და მათი პირადი დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლის გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა რეალურ შემოსავლებს გაუთანაბრდება.

გაუმჯობესდება მოსახლეობის სურსათითა და სახალხო მოხმარების საქონლით მომარაგება, გაფართოვდება მომსახურების სფერო, გაგრძელდება მუშაობა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სრულყოფისათვის.

1976-1985 წლებში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა მთლიანად და მისი ძირითადი დარგები საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რის შედეგადაც ძირითადად დაიძლია ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობით, ხოლო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით სხვაობა შემცირდა. ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, გაიზარდა მისი ეკონომიკური პოტენციალი და წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებაში.

მეთორმეტე ხუთწლედი, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, თვისებრივად ახალი ეტაპია რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებაში. დაისახა ამოცანა შეინარჩუნოთ რესპუბლიკის ეკონომიკის უპირატესი ტემპით ზრდა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების პირობებში. ეს თავისებურება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში. რესპუბლიკის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 1990 წელს 1985 წელთან შედარებით 24,9 პროცენტით გაიზრდება, ნაცვლად საშუალო საკავშირო 22,1 პროცენტისა.

სწრაფი ტემპით, საშუალო საკავშირო მაჩვენებლების დონემდე გაიზრდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა (შესაბამისად 25 და 14 პროცენტით). ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით 1985 წლის დონეზე დარჩება. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ამ ორი უმნიშვნელოვანესი დარგის ზრდის დაჩქარების რეზერვების ძიება, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპი, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ფონდუკუნგების გადიდება, მასალატევადობის შემცირება, მეორეული რესურსების გამოყენება და სხვ.

მეთორმეტე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს ეკონომიკის მართვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, განსაკუთრებით საწარმოების, გაერთიანებებისა და სამინისტროების მუშაობის დაგეგმვისა და შედეგების შეფასების მაჩვენებელთა, მატერიალური და მორალური სტიმულირების გაუმჯობესებას.

სამწუხაროდ, გეგმებში ჯერ კიდევ მთავარია რაოდენობრივი მაჩვენებლები, მუშაობის შეფასების მთავარ მაჩვენებლად კვლავინდებურად რჩება „მთლიანი პროდუქცია“. იგი სტიმულს აძლევს ძვირად ღირებული ნაწარმის დამზადებას, რომლის რეალიზაციის მოცულობაზეა დამოკიდებული მუშაკთა რაოდენობა, შრომის ნაყოფიერება, ხელფასის ფონდი, პრემიები... ამის გამო მთლიანი პროდუქციის გადიდებისათვის ხშირად იყენებენ ძვირად ღირებულ მასალებს, იზრდება მანქანების წონა, მატულობს ტონაჟოლომეტრები. „ჩვენ ვიბრძვით ეფექტიანობისათვის, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე, — მაგრამ ნახეთ, რა ნამდვილად სულელურ სიტუაციაში ვარდებიან სამეურნეო ხელმძღვანელები. დაამზადეს იაფი ნაწარმი, შეახურეს ამისათვის, რომ დაალეს პროდუქცია მანეთობით, დანერგეს ნიანელი, დაზოგეს რესურსები — საწარმო, დარგიც კი კლავ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაიყენეს“.

ამიტომ, წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკის განვითარების დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, მართვის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც შეესაბამება ეკონომიკის ზრდის ინტენსიურ ტიპს, მაქსიმალურად გაუხსნის გზას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს, ხელს შეუწყობს მასების ინიციატივასა და სოციალურ აქტიურობას.

უწინარეს ყოვლისა, მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება მრეწველობის დარგების გადაყვანა ეკონომიკური ექსპერიმენტის პროცესში შექმნილი მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის გაერთიანებებისა და საწარმოების ალო საკავშირო მაჩვენებლებთან მესამედი, 1987 წელს კი იმუშავებს მთელი მრეწველობა.

ამასთან მიმდინარეობს სამეურნეო მექანიზმის, მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტების სრულყოფა სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპის გაძლიერების საფუძველზე. ამ პრინციპით ახლა მუშაობენ ეოოგის საავტომობილო ქარხანა და სუმის მანქანათსაშენებელი გაერთიანება. გათვალისწინებულია მათი გამოცდილების გავრცელება მთელ მრეწველობაში.

1987 წლიდან სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო გადავა მეურნეობრიობის ახალ მექანიზმზე, რომლის არსია საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით არსებითად გაძლიერდეს მისი პასუხისმგებლობა და დაინტერესება საქონლის წარმოების გადიდებით, ასორტიმენტის გაფართოებით და ხარისხის გაუმჯობესებით. მისი გეგმების ფორმირების საფუძველი გახდება ვაჭრობის შეკვეთები.

მომდინარეობს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მოქმედების მექანიზმის ჩამოყალიბება.

ვაჭრობაში გათვალისწინებულია დამყარდეს პირდაპირი ეკონომიკური კავშირი შემოსავლის, მისი მუშაკების შრომის ანაზღაურების, საქონლბრუნვის გეგმის შესრულებისა და მყიდველთა მომსახურების ხარისხს შორის.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა მომდინარეობს ტრანსპორტზეც.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში თვისებრივი ცვლილებანი განაპირობებს საზოგადოებრივი ცნობიერების ახალ ორიენტაციას, აზროვნების გარდაქმნას. დაჩქარება რომ ადამიანისათვის ხდება, ამის გაგება აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. იგი გულისხმობს, რომ გასათვალისწინებელია მეურნეობრიობის შექმნილი პირობები. საჭიროა აზროვნება ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად. მასებს უნდა ჩამოვუყალიბოთ ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნება, სოციალისტური გერგილიანობა. უნდა ვზრუნავდეთ, რომ ადრეს ჰქონდეთ ფართო პოლიტიკური თვალთახედვა, დაუფლებული იყვნენ მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდებს, საქმეს წარმართავდნენ უნარიანად და ეფექტიანად.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მისი მიღწევების დანერგვა, საქონლო მექანიზმის რადიკალური სრულყოფა, ადამიანის ფაქტორის გაძლიერება უზრუნველყოფს მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებისა და მთლიანად პარტიის მიერ დასახული სტრატეგიული კურსის დაჩქარების განხორციელებას.

ვ. ადვაძე,
საქართველოს სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ასმეტური კონსერვები

ახმეტის საკონსერვო ქარხანა წლიურად გამოუშვებს 18 მილიონ პირობით ქილა სხვადასხვა კონსერვს — კომპოტს, მურაბას, ნატურალურ წვენებს. ეს მაჩვენებელი ორი მილიონი ქილით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

ქარხნის დირექტორმა მერაბ ჭუნაშვილმა თქვა, რომ საწარმოში განსაკუთრებული უურადღება ექცევა ბავშვებისათვის გათვალისწინებული ახორტიმენტის კონსერვების ხარისხს. ამ პროდუქციის ხუთი მილიონი პირობითი ქილა იგზავნება შორეულ აღმოსავლეთში, უკიდურეს ჩრდილოეთსა და ციმბირში. ხოლო კაკლის მურაბასა და ატმის ჯემს დიდი გასავალი აქვს იაპონიაში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სურათზე: ახმეტის საკონსერვო ქარხნის მიმღები პუნქტში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს“ უპასუხებენ

ჩამორჩენას დაძლევენ

ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენას ეხებოდა ჩვენი გაზეთის 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული „კომუნისტის“ საგუშაგოს წერილი. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი შ. მესხიძე გვწერს:

წერილში „რა ულხინთ და რა უჭირთ ქობულეთში“ სავსებით სწორად არის აღნიშნული რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. პარტიის რაიკომს სისტემატური კონტროლი აქვს დაწესებული ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობისადმი.

9 აგვისტოს რაიკომის ბიურომ მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცა ზედა კვირიკეს, ზედა ულიანოკისა და ხუცუბნის კოლმეურნეობებში ჩაის კრეფის, შრომის ორგანიზაციისა და ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და თანამდებობიდან გაათავისუფლა ზედა კვირიკეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჯინჭარაძე, ზედა ულიანოკისა და ხუცუბნის კოლმეურნეობების მთავარი აგრონომები ს. დევაძე, და ა. მოწყობილი და მათ დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელები.

მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე ხუცუბნისა და ზედა ულიანოკოვის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები გ. ბაჯელიძე, ს. დოლიძე, ზედა კვირიკეს კოლმეურნეობის თავკარი აგრონომი ვ. მაჭრიაული. კვირიკეს კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა საკარმიდამოდან ჩაის ნედლეულის მიღებაში დაშვებული დარღვევებისათვის პუნქტის გამგეს, სკკპ წევრს ბ. შაქარიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური და პირობით დატოვა დაკავებულ თანამდებობაზე.

მიღებულია ზომები ჩაქვის №1 ჩაის ფაბრიკაში ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის დაცვის გაუჯობესებისათვის.

ახლა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი ძალ-ღონეს არ იშურებს მშრომელთა დასახარაზმად ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმის უოუო რეალიზაციისათვის.

● 17 სექტემბერი, 1986 წ. ●

რატომ მტრობენ სიახლეს,

რატომ ეშლება ხელი საკონტროლო-სალარო აპარატების დაკვიდრებას?

ახლა დიდი ბრძოლა გვაქვს გაჩაღებული გამომაღვიძ, მეერთამეობის, წონა-ზომაში მოტყუბების, უხარისხო საქონლით ვაჭრობისა და სხვა დარღვევათა წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში გვეხმარება ტექნიკაც. ჩვენს გამომგონებლებს შექმნილი აქვთ შესანიშნავი მეტანიკური და ელექტროსაკონტროლო-სალარო აპარატები „ოკა-401“, „ოკა-4401“ და ძმანი მიწერილ, სამწუხაროდ, ისეთი ბედი ეწვათ, მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დიდ ბრძოლაში მაძლევნა-დანადგარებს ექსპლუატაციის გამოსვლის დროს ბევრ მოუვდათ. ლუდიტებმა მანქანებში თავიანთი მტერი და კონკურენტი დაინახეს და ამიტომ დაამსხვრიეს.

ძირითადად მაღაზიების მესვეურები საკონტროლო-სალარო აპარატში ხედავენ კონკურენტსა და რევიზორს და ცდილობენ თავიდან მოიცილონ. ამიტომაც არის, ალბათ, ზოგიერთ მაღაზიებში თუ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ეს ხუსტი გამომთვლელი აპარატი გაფუჭებული და უმოქმედოა.

საკონტროლო-სალარო აპარატების გამართულ მუშაობაზე, მათ სწორად ხმარებაზე ბევრად არის დამოკიდებული ვაჭრობის დარგში მრავალი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ მიმართული მუშაობის ეფექტიანობა. წლეულს პირველი იანვრისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებულ 3378 ობიექტში ირიცხებოდა 6323 სალაროს საკონტროლო აპარატი. იმისათვის, რომ ნორმატივით გათვალისწინებული ყველა ობიექტი აღჭურვოს საკონტროლო-სალარო აპარატებით, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ შარშან განსაზღვრა, რომ დამატებით ესაჭიროებოდა კიდევ 1121 საკონტროლო-სალარო აპარატი. სამინისტროს ხელმძღვანელობამ იმაზეც იზრუნა, რომ შეემსუბუქებინა მოლარის შრომა და მტკიცედ გადაწყვიტა ელექტრონული ტიპის საკონტროლო სალაროების დანერგვა, რომელიც მყისიერად ასრულებს რთულ საკასო ოპერაციებს და ცვლის ორ მექანიკურ სალაროს აპარატს.

უდავოა, რომ სალაროს საკონტროლო აპარატი გამართულად უნდა მუშაობდეს. ამ მეზნით კომბინატ „საქვაჭრობმონტაჟში“ მექანიკური სალაროს აპარატების ტექნიკური მომსახურების უბნის პარალელურად ჩამოყალიბდა ელექტრონული სალაროს აპარატების ტექნიკური მომსახურების უბანი, რომელიც დაკომპლექტდა კვალიფიკაციური კადრებით და აღჭურვა თანამედროვე სამარკვეველოთა და სტენდით. სამინისტრომ დაავალდებულა კომბინატი „საქვაჭრობმონტაჟი“ ყოველ პარასკევს მიაწოდოს ინფორმაცია დადგმული სალაროების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ოპერატიული ზომები მიიღოს აღარიული გამოძახების შესასრულებლად. არის სალაროს საკონტროლო-სალარო აპარატების შემსწავლელი კურსები, სადაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ტექნიკური მინიმუმი გაიარა 379 ვაჭრობის მუშაამ. სავაჭრო ორგანიზაციებს პერიოდულად ეგზავნებათ სამახსოვრო, სალაროს საკონტროლო აპარატების ექსპლოატაციის წესები და სხვა მრავალი რამ.

კეთილი და პატიოსანი. ყველაფერი ეს, რაც ვთქვით, კარგი!

განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, მაგრამ შედეგი რომ არ ჩანს?

—ნამდვილად ხელისშემშლელია და უღმობელია, ერთ რაღაც გეკერდზე გადახვევას არ გაპატიებს, ყველაფერს ზუსტად და მიუკერძოებლად აღრიცხავს, თუ რამე არ ვიღონეთ დაგვლუპავს, სუფთა ხელფასზე დაგვტოვებსო,—თქვეს თბილისპურავაჭრობაში, ზესტაფონის, ცხაკაიას, ხაშურის, გორის, ახალციხის ქალაქვაჭრობების, ცხინვალის საზოგადოებრივი კვების ტრესტში და სამტრედიის ქალაქვაჭრობის საზ.კვების სისტემებში მოკალთებულმა კომბინატორობამ და უშრომელი შემოსავლით გამდიდრების მოტრფიალე საქმოსნებმა.

კი, ბატონო, საქმოსანი და კომბინატორი ჯერ კიდევ საკმაოდ გვყავს, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები რატომ არ აქცევდნენ ყურადღებას საკონტროლო-სალარო აპარატების დანერგვის საქმეს? ძვირადღირებული აპარატები მოხსნილი ჰქონდათ ექსპლოატაციიდან, უმრავლესობამ სულ არ შეიტანა, არ დაამონტაჟა სავაჭრო ქსელში და ხელის განმავლობში „დატყვევებული“ ჰყავდათ სარდაფებში, სადაც ქანგი და ობი ეკიდებოდათ. ზოგიერთ მაღაზიაში თვალის ასახვევად კედელაც დაამონტაჟეს და სახელმწიფო ფულიც დაიხარჯა დადგმაზე, მაგრამ რა... მაღაზიებში უფაქტორო საქონლის შეზიდვისა და ზომა-წონაში მოტყუების აპეციალისტები მამა აბრამის ბატანებივით იქცევდნენ და ხელს ასავსავებდნენ: არ მუშაობს, ბატონო, რა ჩვენი ბრალია, თითქმის ყველა უკარგისია.

როგორ იმუშავებდნენ საკონტროლო-სალარო აპარატები, როცა ვაჭრობის ზოგიერთმა უღიერსმა მუშაკმა განგებ გააფუჭა?!

ისე კი კარგი იქნებოდა საამქაროაზე გამოგვეყვანა ისინი, ვინც პირადად დაამტვრია და გააფუჭა გონიერი მანქანები, და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიგვეცა, რადგან მათ საზოგადოებასა და სახელმწიფოს მატერიალური და მორალური ზარალი მიაყენეს...

მკაცრად იმსჯელა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, გააფრთხილა იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებმაც ომი გამოუცხადეს სიახლის დანერგვას. ყოველივე ამას შემდეგ სხვა დარღვევებიც დაემატა და როგორც იქნა თბილისპურავაჭრობის დირექტორი თ. მორბედაძე, ზესტაფონისა და ცხაკაიას ქალაქვაჭრობათა დირექტორები პ. ჩხეიძე და ბ. ბარკალაია გაანთავისუფლეს. ამ ზაფხულს ცხინვალის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორი გ. ხაჩატუროვი, ბაქურიანში მარნეულში მომხმარებლების საზოგადოების ისეთი სავაჭრო ცენტრია წამოჭიმული დიდ ქალაქსაც კი შეშურდება, მაგრამ მერე რა, ამახინჯებენ ფასებს, გადამალული აქვთ დეფიციტური საქონელი. ვაჭრობის წესების დარღვევა საამაროაზე რომ არ გამოჩნდეს, რა თქმა უნდა, საკონტროლო სალაროებს ან არ ამუშავებენ, ანდა გაფუჭებული აქვთ, ყოველივე ამას კი სავაჭრო ცენტრის დირექტორი დ. ამირჯანოვი არაფრად აგდებს.

მაღაზიაში დამონტაჟებულ საკონტროლო სალაროებს არ ამუშავებენ და ფულს ხელზე იღებენ ბათუმის სურსათვაჭრობის № 17 მაღაზიაში, აქ, ჩვეულებრივ, მომხმარებლებს ატყუებენ, მაღაზიის გამგე დ. არზენაძე კი ყოველივე ამაზე თვალს ხუჭავს.

არავინ იცის, როდის და ვინ გააფუჭა საკონტროლო სალარო კაპანის რაიკავშირის კოოპერაციონრმაღის ტექნიკის მაღაზიაში. გამგე-გამყიდველ მ. გორგაძეს ვაჭრობის საუთარი მეთოდები აქვს გამომუშავებული.

როგორც ხედავთ, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში კვლავ უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, უგულველყოფენ ტექნიკური პროგრესის დანერგვას, რადგან პრიმიტიული ვაჭრობა უფრო სარფიანია კომბინატორთა ბნელი საქმეებისათვის. ბოლო დროს ვაჭრობის სამინისტროს სისტემის შემოწმებული 187 ობიექტიდან სხვადასხვაგვარი დარღვევა აღმორჩდა თითქმის ყოველ მეორეში. ხშირია ისეთი დარღვევები, როცა სალაროში ნავაჭრი თანხის ნაკლებობა, ან ზედმეტობაა, დაუმონტაჟებელია სალარო აპარატები, სალაროები მუშაობენ დაულუქავად, საადრიცხვო დავთარს სწორად არ აწარმოებენ, საკონტროლო ლენტებზე საჭირო რეკვიზიტებს არ ავსებენ, არღვევენ სალაროს შენახვა-გაღების წესებს, გამყიდველები ნავაჭარს ხელზე იღებენ, მომხმარებელს არ აძლევენ ქვითრებს.

ამ დარღვევების წყარუებისათვის სავაჭრო ორგანიზაციათა თერთმეტი ხელმძღვანელი მუშაკი დისციპლინური წესით დაისაჯა.

როცა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს ვეკითხეთ, მომავალში რას აპირებენ სისტემაში საკონტროლო-სალარო აპარატების მთლიანად დანერგვისა და გამოყენებისათვის, პასუხი კონკრეტული იყო: სამინისტროს კოლეგიის წლევანდელი მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმით, ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველო კვლავ შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და ფართო მსჯელობის საგნად გახდის. იგი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება, სანამ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არ გვექნება, შემუშავებულია კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია განხორციელდეს სისტემატური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სრული წესრიგის დამყარებასო.

ეს კარგი სიტყვებია, თუ განხორციელდა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა სავაჭრო ორგანიზაციაში არ არის შექმნილი საჭირო ატმოსფერო საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების გასაუმჯობესებლად, სავაჭრო ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი როდი იჩენს სათანადო მომთხოვნელობას მუშაკებისადმი და ეს საქმე მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ.

მაშ, გზა მივცეთ ტექნიკურ პროგრესს, მომსახურებაში სიახლეს, „გამყიდველსა და მყიდველს შორის სამართლიანობის დამკვიდრებას.

ბ. ბახტურიძე.

„საქართველოს კომუნისტი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომ[illegible] „სოციალური სამართლიანობის პრინციპით“.

აწმყოვანი „სკკპ XXVII ყრილობა და თეორიის საკითხები დაბეჭდილია გ. შუშანაშვილის — ცხოვრების სიწმინდისათვის; ვ. გაგოიძის — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

რუბრიკით „დაჩქარების სტრატეგია“ გამოქვეყნებულია წერილები: თ. მოსაშვილისა — რესპუბლიკის პროფკავშირები ახალი ამოცანების წინაშე; რ. ასათიანისა — არასაწარმოო სფეროს ტერიტორიული მართვა; მ. ტუღუშისა — ეკონომია და ეფექტიანობის ამაღლება მთავარი საზრუნავია; ა. აბესაძისა — მეტი უურადღება დამხმარე სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

განყოფილებაში „პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის კურსით“ დაბეჭდილია: რ. გოგოლაძის — ახალი ამოცანები ახლებურად უნდა გადაწყდეს, გ. აბდალაძისა — პარტიის რაიონული კომიტეტი და შრომითი რესურსები; გ. გოლემბიოვსკის — პირადი მაგალითის ძალა.

ანშლაგი „რეფორმა — დროის მოთხოვნაა“ გამოქვეყნებულია ნ. ვასაძის სტატია — სკოლის მაღალი მისია.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სოციალისტური ცხოვრების წესის განსამტკიცებლად“; „ხუთწლედის წინა ხაზზე“; „ადამიანი და გარემო“ და სხვ.

ლენინური გვარდიის ლირსეული წარმომადგენელი

ა. მიქაძის დაბადების 90 წლისთავისათვის

შესრულდა ბოლშევიკთა სახელოვანი ლენინური გვარდიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და პროფკავშირული მოძრაობის აქტიური მოღვაწის არჩილ ბესარიონის ძე მიქაძის დაბადების 90 წელი.

ა. მიქაძემ ცხოვრების შესანიშნავი გზა განვლო. ახალგაზრდა მასწავლებლის შვილმა წარმატებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. შემდეგ იგი სწავლობდა პეტროგრადში — ჯერ უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, მერე კი სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში.

აქ იგი დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტ ახალგაზრდობას, მათი ხელშეწყობით გაეცნო მარქსისტულ ლიტერატურას, ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან ორი თვის შემდეგ, რომელშიც იგი მონაწილეობდა, ა. მიქაძე პარტიის რიგებში მიიღო პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციამ. მას შემდეგ მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კომუნისტურ პარტიას დაუკავშირა და თავგანწირვით იბრძოდა კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

1917 წლის გაზაფხულზე ა. მიქაძე სსრულებდა პეტროგრადის სამხედრო-ბოლშევიკური ორგანიზაციის პასუხსაგებ დავალებებს, კრებებსა და მიტინგებზე გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით, რომლებითაც ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებსა და პარტიის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე, განმარტავდა ბოლშევიკური პარტიის ფაქტობრივ გეზს, ამხილებდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, რაზმავდა მასებს ლენინური ლოზუნგების გარშემო.

პეტროგრადში 1917 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი მოვლენების შემდეგ, რომლებმაც მთელი რუსეთი შეძრა, ა. მიქაძე პარტიული ორგანიზაციის დავალებით კავკასიის ფრონტზე გაიგზავნა ჯარისკაცთა მასებში სამუშაოდ. მაგრამ აქტიური ბოლშევიკური პროპაგანდისათვის იგი მალე მოაცილეს ფრონტს და პეტროგრადში დაბრუნდა. აქ შეხვდა იგი დიდი ოქტომბრის რევოლუციას. უშუალოდ მონაწილეობდა [illegible] გამარჯვებისათვის ბრძოლებში.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მას პეტროგრადის საბჭოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელობა მიანდეს. 1918 წლის აპრილიდან ა. მიქაძე საქართველოშია, განაგრძობს ენერგიულ პარტიულ მუშაობას, ებრძვის მენშევიკების ძალაუფლებას. იგი უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის მშრომელთა შეიარაღებულ აჯანყებაში, არჩეული იყო აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წევრად.

მომდევნო პერიოდში, კერძოდ, 1918-1919 წლებში, ა. მიქაძე სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად სათავეში ჩაუდგა პროფკავშირულ მოძრაობას საქართველოში. მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში შეიქმნა პროფესიულ კავშირებში ბოლშევიკური მუშაობის ხელმძღვანელობის არალეგალური „სამუშაო ცენტრი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური გეზის შესაბამისად პროფკავშირული მოძრაობის სწორ ორგანიზაციაში. მაგრამ 1919 წლის მარტში ა. მიქაძე მენშევიკურმა მთავრობამ დაუპატიმრა და აზერბაიჯანში გადასახლა. ბაქოში იგი გაიაზრეთ პარტიულ მუშაობას, რამდენიმე თვის შემდეგ კი პარტიის გადაწყვეტილებით კვლავ დაბრუნდა არალეგალურად საქართველოში.

1919 წლის დამლევს ა. მიქაძე რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაგზავნა ფოთში, სადაც იგი ბოლშევიკთა საქალაქო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ დაპატიმრეს მენშევიკებმა.

1920 წლის მაისში ა. მიქაძე პატიმრობიდან განთავისუფლდა და პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა თბილისის „სამუშაო ცენტრის“ აღდგენას, ხელს უწყობდა მშრომელებზე მისი გაელენის გაძლიერებას.

ა. მიქაძე იყო კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დელეგატი, აქტიურად მონაწილეობდა პროფინტერნის შექმნაში, იყო რევოლუციური პროფკავშირების ამ ახალი საერთაშორისო გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, მუშაობდა პროფინტერნის სექტორის გამგედ. მასვე დაევალა საბჭოთა რუსეთში პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილების შესწავლა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ა. მიქაძე მუშაობდა აზერბაიჯანის პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. ამასთან ერთად იგი განაგრძობდა ნაყოფიერ პარტიულ მოღვაწეობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრის პოსტზე, აქტიურად მონაწილეობდა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მუშაობაში, რომელიც 1920 წელს გაიმართა ბაქოში.

1921 წლის თებერვალში, როცა საქართველოს მშრომელები აღდგნენ მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ, ა. მიქაძე საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად მოსული წითელი არმიის ნაწილებთან ერთად შემოვიდა საქართველოში და უშუალოდ მონაწილეობდა გადაწყვეტ ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ა. მიქაძე დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად, მისი კულტურის აღსადგენად. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს რევკომის მდივანი, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე, ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგარეო წარმომადგენლობის ვიცეპრეზიდენტი.

ს. კვაშაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებით:

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვერა ალექსანდრეს ასული **დავიდოვა** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

* * *

პარტიულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნუგზარ არსენის ძე **ოდიშელი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

მრთსულოვანი მსარდაჭერა

ნიუ-იორკი. საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში გაიმართა აქ დამთავრებული ფორუმის — „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი“ — მონაწილეთა შეხვედრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ხ. პერეს დე კუელიართან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რომეშ ჩანდრამ მას გადასცა განცხადება, რომელიც ფორუმზე მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და რელიგიური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ბირთვული გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა. ფორუმის მონაწილეებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების კურსი განაგრძოს აფეთქებანი ბირთვული იარაღის სრულყოფისა და კოსმოსური იარაღის შექმნის მიზნით.

თუ არ შეწყდა ეს უკიდურესად მადლტაბილიზებელი პოლიტიკა, ნათქვამია განცხადებაში, მალე, ალბათ, შეუძლებელი იქნება ბირთვული შეიარაღების ზრდის შეჩერება. ბირთვული გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვა ყველაზე მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული ნაბიჯია.

16 სექტემბერი ● საკდესი იუწყება

ინფორმაცია

ფაქტები • მოვლენები

◆ სსრ კავშირი-იაპონია

განიხილავენ თანამშრომლობის საკითხებს

ტოკიო. აქ მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში საბჭოთა კავშირ-იაპონიის კომისიის III სესიამ.

სესიაზე განიხილავენ სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის კავშირურთიერთობის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს, ატომურ ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში მოწონაგე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაცვლის გაფართოების საკითხებს.

გაიმართება აგრეთვე აზრთა გაზიარება საბჭოთა და იაპონელ მეცნიერებს შორის კავშირურთიერთობის განმტკიცების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის, ჯანმრთელობის დაცვის, კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი შესწავლისა და გამოყენების სფეროში გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარების საკითხებზე.

უკანასკნელ საათს

მოლაპარაკება თეთრ სახლში

ვაშინგტონი. თეთრ სახლში გაიმართა მოლაპარაკება პრეზიდენტ რ. რეიგანსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს შ. პერესს შორის, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. „ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა ისრაელთან, — განაცხადა შეხვედრის დამთავრების შემდეგ თეთრი სახლის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა, — კვლავაც გულთბილი და მტკიცეა. ეს გამოიხატა როგორც მოლაპარაკების ტონით, ისე შინაარსით“.

მოლაპარაკების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ოფიციალური ვაშინგტონისა და ახლო აღმოსავლეთში მისი „სტრატეგიული მოკავშირის“ ერთგულება არაბული ქვეყნების გათიშვის კურსისადმი. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის პრეზიდენტმა კვლავ გასაგებად თქვა, რომ შეერთებული შტატები ისრაელთან ერთად წინანდებურად ეცდება მიაღწიოს ხეპარატულ გარიგებებს. ამასთან, ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ „ეღიარებინათ, რომ აქ არ არსებობს იოლი გზები ან ჯადოსნური ფორმულები“.

ფოტოფაქტი

ჰონდურასი ჰენტაგონის სამიზნეში

◆ ირანი

სდევნიან ავღანელებს

ქაბული. ირანის რეჟიმი ამკაცრებს რეპრესიებს ავღანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც სამშობლო მიატოვეს ძირგამომთხრელი პროპაგანდის ზემოქმედებით.

როგორც ბაჰთარის სააგენტო იუწყება, ირანის ქალაქებში ბაბოლში, ქერმანსა და ბენდერ-აბასში მოხდა შეტაკებანი ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკა შ ი დაბრუნების მსურველ ავღანელებსა და ჟანდარმერიის ძალებს შორის, რომლებიც სტიქიური გამოსვლებისა და დემონსტრაციების ჩასახშობად გამოიყვანეს. ბანდერ-აბასში „ისლამური რევოლუციის გუშაგებმა“ მოკლეს 12 და დაჭრეს სამი ავღანელი, 19 ციხეში ჩასვეს. ბაჰთარის სააგენტო აღნიშნავს, რომ საპროტესტო გამოსვლების ტალღა, რომელიც ამ დღეებში ირანის ქალაქებსა და სოფლებში აზვირთდა, გამოიწვია ირანის ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ ძალით გაგზავნონ აღთალელები ირან-ერაყის ფრონტზე და კონტრრევოლუციის ბანდების მოსამზადებელ ბანაკებში.

შეერთებულმა შტატებმა ჰონდურასი თავის სამხედრო პლაცდარმად აქცია ცენტრალურ ამერიკაში. იგი ფაქტობრივად დაჭირავებულ „კონტრასთა“ შეიარეთების ბაზას წარმოადგენს, რომლებიც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეაკონინა რევოლუციურ ნიკარაგუას ომად ასსმისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების „დროებითი“ ყოფნა ჰონდურასში სულ უფრო მუდმივ ხასიათს იძენს. წერს ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“. ბოლო ოთხ წელიწადში ქვეყანაში განლაგებული სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ამერიკის ადმინისტრაციამ 170 მილიონამდე დოლარი დახარჯა.

ჰონდურასი სამხედრო მანევრების უზარმაზარ პოლიგონად იქცა, რომლებშიც ათასობით სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ჰონდურასის არმიის კონტინგენტიც, მონაწილეობს. ამ სამხედრო „თამაშების“ დროს ამუშავებენ ჯუნგლში საბრძოლო ოპერაციების წარმოების მეთოდებს, მეზობელ ნიკარაგუაში შეჭრის ვარიანტებს.

სურათზე: ჰონდურასის არმიის ჯარისკაცს ასწავლიან დივერსიულ მოქმედებას ამერიკა-ჰონდურასის მორიგი მანევრების დროს.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ბონი. მეუნხენის იმ შეხვედრაში, სადაც მოთავსებულია ნატოს კავშირგაბმულობის სამსახური და დასავლეთ ევროპის „პანავიის“ კონსორციუმის სამმართველო, რომელიც უშვებს ავიაგამანადგურებელ „ტორნადოს“, აფეთქეს ბომბი. ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობით, აფეთქებით არავინ დაშავებულა შენობა კი საგრძნობლად დაზიანდა.

● ვენა. ავსტრიის ფედერალური კანცლერი ფრანც ვრანიცკი ეწვია ქვეყნის პრეზიდენტს კურტ ვალდჰაიმს და ოფიციალურად აცნობა, რომ დარსულდა ავსტრიის სოციალისტური პარტიისა და ავსტრიის თავისუფლების პარტიის კოალიციური თანამშრომლობა. პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყანაში შეიქმნა „რთული ვითარება, რომელიც მოითხოვს შემდგომ პოლიტიკურ კონსულტაციებს“.

● ტოკიო. იაპონიის მთავრობამ უნდა გაუქმოს თავისი გადაწყვეტილება ამერიკის ეგრეთ წოდებულ „სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივაში“ მონაწილეობის თაობაზე, განაცხადა იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ტაკაკო დოიმ.

საერთაშორისო შენიშვნები

ყოველი წლის 17 სექტემბერს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ლიბანის პალესტინელ ლტოლვილთა საბრისა და შატილის ბანაკების დაღუპულ მცხოვრებთა ხსოვნის დღეს. 1982 წლის 16-17 სექტემბერს, პალესტინელთა ბანაკებში სონონისტებისა და ლიბანის რეაქციული დაჯგუფებების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ქალების, ბავშვებისა და უმწეო მოხუცების ხოცვა-ჟლეტამ მსოფლიო საზოგადოებრიობა იმდენად შეაძრწუნა, რომ გადაწყდა მათი ხსოვნის დღე ყოველწლიურად აღნიშნულიყო. თუმცა სპეციალისტებს, რომლებიც უფრო ღრმად იცნობენ ისრაელი სიონისტების წინააღმდეგ პალესტინელი არაბი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიას, სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტებით ვერ გაკვირვებ.

საუკუნეების განმავლობაში ებრაელები და პალესტინელები ერთ ქვეყანაში, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და მათ შორის არასოდეს მომხდარა სისხლისმღვრელი შეტაკებები, სანამ სიონიზმის ფუძემდებლებმა პალესტინის ტერიტორიაზე „წმინდა ებრაული“ სახელმწიფოს შექმნის პროგრამა არ წამოაყენეს. ბუნებრივია, ასეთი ამბიციური პროგრამის მიღების შემდეგ დადგა პალესტინის მკვიდრი არაბი მოსახლეობის მომავლის საკითხი. პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციასთან ერთად ქვეყნის არაბული მოსახლეობა უნდა განიდევნოს, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი უბრალოდ განადგურდეს — ასეთი მიზანი დაუსახა თავის მომდევრებს სიონიზმის ერთ-ერთმა მამამთავარმა ვაიცმანმა და ისინიც დღემდე ცდილობენ ამ მიზნის განხორციელებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ისრაელის ერთ-ერთი პირველი პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი ციხიკურად აცხადებდა: „ვინ არიან პალესტინელები, მე ასეთ ხალხს არ ვიცნობო“.

ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ შექმნამდე, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავდა პალესტინის არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად გაყოფის საკითხს, შეერთებულმა შტატებმა კურსი სიონისტების ანუხრელ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაზე აიღო და მოიწონა მათი საქმიანობა, რომლის მიზანი გახლდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ პალესტინის არაბთა სახელმწიფოსათვის გამოყოფილი ტერიტორიების ხელში ჩაგდება. უკვე 1947 წლის დეკემბრიდან სიონისტთა ტერორისტული ორგანიზაციების „ირგუნისა“ და „შტერნის“ კარგად შეიარაღებულმა ბანდებმა მშვიდობიანი არაბული მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისა და დაშნების მასობრივი კამპანია გააჩაღეს არა მარტო ებრაული, არამედ არაბული სახელმწიფოსათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე და თვით იერუსალიმშიც, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით საერთაშორისო ტერიტორიად გადაქცეულ ქალაქ მარნეულში მომხმარებლების საზოგადოების ისეთი სავაჭრო ცენტრია წამოჭიმული დიდ ქალაქსაც კი შეშურდება, მაგრამ მერე რა, ამახინჯებენ ფასებს, გადამალული აქვთ დეფიციტური საქონელი. ვაჭრობის წესების დარღვევა საამაროაზე რომ არ გამოჩნდეს, რა თქმა უნდა, საკონტროლო სალაროებს ან არ ამუშავებენ, ანდა გაფუჭებული აქვთ, ყოველივე ამას კი სავაჭრო ცენტრის დირექტორი დ. ამირჯანოვი არაფრად აგდებს.

მაღაზიაში დამონტაჟებულ საკონტროლო სალაროებს არ ამუშავებენ და ფულს ხელზე იღებენ ბათუმის სურსათვაჭრობის № 17 მაღაზიაში, აქ, ჩვეულებრივ, მომხმარებლებს ატყუებენ, მაღაზიის გამგე დ. არზენაძე კი ყოველივე ამაზე თვალს ხუჭავს.

არავინ იცის, როდის და ვინ გააფუჭა საკონტროლო სალარო კაპანის რაიკავშირის კოოპერაციონრმაღის ტექნიკის მაღაზიაში. გამგე-გამყიდველ მ. გორგაძეს ვაჭრობის საკუთარი მეთოდები აქვს გამომუშავებული.

როგორც ხედავთ, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში კვლავ უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, უგულველყოფენ ტექნიკური პროგრესის დანერგვას, რადგან პრიმიტიული ვაჭრობა უფრო სარფიანია კომბინატორთა ბნელი საქმეებისათვის. ბოლო დროს ვაჭრობის სამინისტროს სისტემის შემოწმებული 187 ობიექტიდან სხვ

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრი არა მარტო შესანშნავი ტრადიციების მატარებელი კოლექტივი, მის ნიშანდობლივ თვისებას ისიც წარმოადგენს, რომ მას განსაკუთრებული კავშირი აქვს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებასთან. ჩვენი თეატრის არაერთი გამოჩენილი ხელოვანი აღიზარდა და გაიწაფა მის სცენაზე. დღესაც ამ თეატრს სათავეში უდგას თბილისში დაბადებული პოპულარული მსახიობი, შშვენიერი ორგანიზატორი, ნიჭიერი, მაძიებელი რეჟისორი გიორგი ქავთარაძე.

ამჟერადაც თეატრის საგაზაფხულო რეპერტუარი საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. მის ფიგურებს, ამშვენებდა აღიარებული დადგმები „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ვენეციელი ვაჭარი“. ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის უკანასკნელი დადგმა „ვენეციელი ვაჭარი“, რომლის ჰეშმარიტი მშვენებაა გ. ქავთარაძის შაილოკი, კვლავინდებურად მაღალ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარულს გვგვრის.

თვით გ. ქავთარაძის მიერ დადგმული „დიდოსტატის მარჯვენა“ კი კ. გამსახურდიას ნაწარმოების სამყაროში გვაბიჯებს და თეატრის ერთგვარ საკვიზიტო ბარათს წარმოადგენს. ამ სპექტაკლში ნათლად გამორჩდა რეჟისორის სწრაფვა ეპიკური თხრობისადმი და პატრიოტული ტკივილით გაღენთილი გარემო, რომელშიც გამსახურდიას გმირები ცხოვრობენ, მოქმედებენ და იბრძვიან...

ამ სპექტაკლების გარჩევას არ შევეხებით, რადგანაც მათ შესახებ თავის დროზე არაერთი ქების სიტყვა ითქვა. ჩვენთვის, უპირველესად საინტერესოა ის ახალი სპექტაკლები, რომლებიც თბილისელ მაყურებელს ჯერ არ ენახა და ამ გასტროლების დროს გაეცნო.

ალ. ჩხაიძე თავის პიესაში „ვაცხადებ დახურულად“, როგორც ყოველთვის, ჩვენი დროის აქტუალურ პრობლემებს სვამს. ეს ტრაგიკომედია ახლელს ჩვენი სინამდვილის იმ ჩრდილოვან მხარეებს, რომელთა წინააღმდეგ დღეს ასე აქტიურად აღდგა საზოგადოებრიობა. სპექტაკლი დადგეს გ. ქავთარაძემ და ლ. ბულუჩიამ.

სოხუმის თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება ბ. შოუს „პიგმალიონი“, რომელიც რეჟისორმა კ. სურმავამ წარმოგვიდგინა როგორც მუზიკალი.

სპექტაკლის ღირსებას წარმოადგენენ მსახიობები. უპირველესად არ შეიძლება არ დავსახელოთ თეატრის ვეტერანი მსახიობი ფ. შედანია. იგი მშვენივრად გრძნობს შოუს ნაწარმოების ირონიას, პარადოქსულ სიტუაციებს და, რაც მთავარია, ჰეშმარიტი ლედის სახეს ქმნის.

სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა მსახიობი ლ. ხერითი, ელიზა დულიტლის როლში დამაჯერებელი და უშუალოა, ასევე, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ვ. არღვლიანის პროფესორი ჰიგინსი, თ. ბოლქვაძის პისონ პირსი. დამაჯერებლად გვიხატავს მაწანწალა, ლოთი დულიტლის გარდაქმნას დ. გაჩეჩილაძე, თავშეკავებული, ზრდილი და კეთილშოსურნეა ნ. ბექაურის პოლკოვნიკი პიკერინგი.

სპექტაკლის სუსტ მხარედ მოგვეჩვენა, რეჟისორის მიერ დადგმული მასობრივი სცენა წვიმის ქვეშ, იგი როგორღაც ხელოვნურია და მოკლებულია მიუზიკლისათვის აუცილებელ სიცოცხლეს. მთლიანობაში კი, წამყვანი მსახიობებისა და კ. სურმავას მიერ მიგნებულ საინტერესო სცენებში, სპექტაკლი უთუოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს...

სოხუმის თეატრის სცენაზე ადრეც გაიცოცხლებულან ა. ჩეხოვის გმირები. ახლახან აქ „თოლია“ დაიდგა, რაც, თავისთავად, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გ. ქავთარაძეს სურდა ახალი თავისებური კუთხე მოენახა ჩარმოდგენის გასახსნელად, მან ყურადღების ცენტრში დააყენა არა გმირები, პირადი ურთიერთობანი, არამედ ხელოვანისა და საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის პრობლემა, საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ჰეშმარიტი ნოვატორობა და რას წარმოადგენს ტრადიციული ოსტატობა.

ჩეხოვის ტექსტისათვის რეჟისორს ხელი არ უხლია, მხოლოდ გადაადგილა ზოგიერთი სცენა, დაუმატა მწერლისაგე გამოთქმები თანამედროვე თეატრისა და ლიტერატურის შესახებ.

პირნდელს ხერხის გამოყენებით მან გვიჩვენა, რარიგ ძნელია მხატვრული ნაწარმოების, ამ შემთხვევაში სპექტაკლის შექმნა. სცენაზე შეკრებილი მსახიობები თამაშობენ „თოლიის“ ბოლო აქტს, ხედავენ რა, რომ არაფერი გამოუდგა, თავდან იწყებენ სპექტაკლზე მუშაობას. რეჟისორმა, ჩემი აზრით, საინტერესო ექსპერიმენტს მოჰკიდა ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მთლად ვერ მიაღწია მიზანს. ეს კი, უპირველესად მსახიობთა სუსტმა თამაშმა განაპირობა.

ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ე. რაძინსკის ახალმა პიესამ „მოხუცი მსახიობი ქალი დოსტოევსკის ცოლის როლზე“ (თარგმანი ზ. მიქავანი), რომელიც ახალგაზრდა რეჟისორებმა ლ. ბულუჩიამ და ზ. მიქავამ დადგეს.

პრესიდან ჩვენ უკვე ვიცოდით თუ რა მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს პიესის ავტორმა და, მართლაც, წარმოდგება მოწონებას იმსახურებს.

ლ. ბულუჩია თავისებურად მოაზროვნე რეჟისორია, ამ სპექტაკლში ჩვენ დავინახეთ არა მარტო მისი პროფესიონალიზმი, საუცხოო გემოვნება, მსახიობთან მუშაობის ნიჭი, არამედ ისიც, რომ თავის შემოქმედებითს აზროვნებაში ლ. ბულუჩია თანამედროვე თეატრალურ ძიებათა ტალღას მისდევს, გუმანით გრძნობს იმას, რაც წარმოადგენს დღეადღეული თეატრალური ცხოვრების ზეამოცანას.

სპექტაკლი ერთ მოქმედებად მიდის და მსახიობებიც თითქოს ერთი ამოსუნთქვით ასრულებენ. სიურეალისტური გაფორმება (მხატვარი ნ. მგალობლიშვილი) უკვე განსაკუთრებულ განწყობას ქმნის.

მთელი სპექტაკლის მანძილზე ჩვენ წინაშე ორი მსახიობი მოქმედებს — მოხუცი მსახიობი ქალი (ფ. შედანია) და უსახლკარო რეჟისორი (დ. გაჩეჩილაძე). მაყურებელი სულგანაბული აღევნებს თვალს მოვლენებს.

ე. რაძინსკის პიესა საოცარი ადამიანური ტკივილით არის დამუხტული, თითქოს მწერალმა „შეიწოვა“ თ. დოსტოევსკის ყველა გმირთა ტკივილი. მიზანსცენები სპექტაკლში უბრალოა, ხშირად მსახიობები უძრავნი ესაუბრებიან, ეკამათებიან, ეჩხუბებიან ერთმანეთს, ეს დიალოგები იშლება შოპენის, ლისტისა და რახმანინოვის მუსიკის ფონზე...

მოხუცი მსახიობი ქალის როლში ფ. შედანიამ განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება დატოვა. ხანდაზმული მსახიობი სულ არ გვაგრძნობინებს ასაკს, ჩვენ წინაშე სუსტი, თმაფთრი ქალია, რომელიც სასწაულებს ახდენს. მისი ახალგაზრდული პლასტიკა, მისი ხმა თითქოს შლის ასაკს და ჩვენ წინაშე მხოლოდ მოსიყვარულე, მხოლოდ დიდი ტკივილით, სიეკეკლუცით და თავისებური ირონიით შეპყრობილი არსებაა...

ფ. შედანიას მსახიობი ქალის სახე, ჩემი აზრით, ცალკე წერილის თემაა. მას სპექტაკლში ჰეშმარიტ პარტნიორობას უწევს დ. გაჩეჩილაძე. მსახიობი გიორგენულადაც ჩამოჰგავს ახალგაზრდა დოსტოევსკის.

„მოხუცი მსახიობი ქალი დოსტოევსკის ცოლის როლზე“ სოხუმის თეატრის კიდევ ერთი, უდავო გამარჯვებაა.

კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრი მაძიებელი კოლექტივია, მას არ აშინებს რისკი, ან დამარცხება. და აქ მოუსვენრობაშია მისი ღირსება — მომავალი წარმატებების საწინდარი.

ნადია ᲗᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საგაზაფხულო სპექტაკლ „პიგმალიონის“ ერთ-ერთი სცენა; ელიზა დულიტლი — მსახიობი ლ. ხერითი.

3. ᲞᲔᲢᲠᲘᲩᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

„ᲡᲐᲭᲝᲓᲚ“ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

„ᲧᲕᲔᲚᲐ მოუდრეკელ (ადამიანი) თვით გაწლავთ თავისი ბედის მეუფეო“ — მიხეილ ტალს უყვარს ძველი რომაელი ისტორიკოსის გაიუს სალუსტიუსის ამ ოდნავ შეცვლილი გამოთქმის გახსენება. ეს გამოთქმა ერთხელ კიდევ გაგახსენდა, როცა მეთექვსმეტე პარტიაში კასპაროვმა, თუმცა ორი ქულით ლიდერობდა, უარი თქვა აშკარა ყაიმზე და სრულიად ბუნდოვანი გაგრძელება აირჩია. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მსოფლიო ჩემპიონმა ურთულეს ბრძოლაში თავისი გამარჯვება გამოუკეთა.

მატჩში უკვე მეორედ გათამაშდა ესპანური პარტიის რთული ვარიანტი. შავების მეთერთმეტე სვლამდე შეზვედრა დაემთხვა მეთოთხმეტე პარტიას, რომელიც, როგორც ცნობილია, კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა. ამიტომ, გასაგებია, კარპოვმა ახლებურად და მეტად საინტერესოდ! ითამაშა. მან დათმო პაიკი ლაზიერის ფრთაზე და ამასობაში ყველა ფიგურა აქტიურ უჯრებზე გადაიყვანა. შავების ახალი გეგმის ავკარგში გარკვევას დიდი დრო უნდოდა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონი ღრმად ჩაფიქრდა. კარპოვს, რომელსაც შექმნილი პოზიცია შინ, კაბინეტის სიმყუდროვეში ჰქონდა შესწავლილი, ცხადია, ამდენი განსჯა არ სჭირდებოდა.

აი, სწორედ ამ მომენტში კასპაროვმა, როგორც თავიდანვე მოგახსენეთ, უარი თქვა გაგრძელებაზე, რომლის შედეგად დაფაზე აშკარად საყაიმო მდგომარეობა შეიქმნებოდა. მისი გადაწყვეტილება ბევრმა ზედმეტ სითამამედ მიიჩნია. ჯერ ერთი, კარპოვს დროის დიდი მარაგი ჰქონდა — მეტოქეზე 20 წუთით მეტი, მეორეც, შავებს მუქარა ლაზიერის ფრთაზე უფრო რეალური ჩანდა, ვიდრე კასპაროვის შეტევა მეფის ფრთაზე.

ამ უმძაფრესი პარტიის ანალიზს არათუ დღეები, ეტყობა, თვეები მოუნდება. კომენტატორები აუცილებლად მიაქცევენ უფლიერეს გაგრძელებას როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. მათ საამისოდ განუსაზღვრელი დრო აქვთ. კასპაროვსა და კარპოვს კი ყველა პრობლემა უსწრაფესად უნდა გადაეწყვიტათ. ასეთ ვითარებაში კარპოვმა ჯერ თავისი ზედმეტი დრო დახარჯა და ამ მხრივ მეტოქეს „დაეწია“, შემდეგ კი — 33-ე სვლაზე შეიდუმმა მოუვიდა. მან, მართალია, ფიგურა მოიგო, მაგრამ შავი მეფე კასპაროვის ჭარბი ძალების წინააღმდეგ დიუცველი დარჩა. რამდენიმე ეფექტური დარტყმით კასპაროვმა მეფე დაფის ცენტრში გამორიყა, მოიგო ლაზიერი და მალე პარტიაც.

ამრიგად, კასპაროვი უკვე სამი ქულით დაწინაურდა. ახლა მას ჩემპიონობის შესანარჩუნებლად 8 პარტიაში 2,5 ქულის მოგროვებაღა უნდა. ეს მაშინ, როცა კარპოვს 6 ქულის მოპოვება სჭირდება. მისი მდგომარეობა, ცხადია, კრიზისული გახდა.

ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♆b5 a6 4. ♆a4 ∂f6 5. 0—0 ♆e7 6. ⚇e1 b5 7. ♆b3 d6 8. c3 0—0 9. h3 ♆b7 10. d4 ⚇e8 11. ∂bd2 ♆f8 12. a4 h6 13. ♆c2 ed 14. cd ∂b4 15. ♆b1 c5 16. d5 ∂d7 17. ♆a3 c4 18. ∂d4 ♗f6 19. ∂∂f3 ∂c5 20. ab ab 21. ∂:b5 ♗:a3 22. ∂:a3 ♆a6 23. ⚇e8 ♖b8 24. e5 de 25. ∂:e5 ∂bd8 26. ∂g4 ♗b6 27. ♕g3 g6 28. ♆:h6 ♗:b2 29. ♗f3 ∂d7 30. ♆:f8 ∂♔:f8 31. ∂♔h2 ♖b3 32. ♆:d8 cd 33. ♗f4 ♗:a3 34. ∂h6 ♗b5 35. ♗:g6 ♗e5 36. ♕g8+ ∂ 37. d6+ ∂♔e6 38. ♕e8+ ∂♔d5 39. ♗:e5+ ∂:e5 40. d7 ♖b8 41. ∂:f7. **შავები დანებდნენ.**

ანგარიში გახდა 9,5:6,5 კასპაროვის სასარგებლოდ. მორიგი მეჩვიდმეტე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ᲣᲐᲮᲖᲔᲑᲘᲡ მაღალი მთის ეკოლოგიურ სადგურში მუშაობა დაამთავრა ქართველ და დასავლეთგერმანელ მეცნიერთა ერთობლივმა ექსპედიციამ. ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტისა და ბრემენის უნივერსიტეტის სპეციალისტები აწარმოებდნენ კვლევას მიკროკომპიუტერული მართვის უახლესი პორტატიული აპარატურის მეოხებით.

აქ, ცენტრალური კავკასიონის მთებში, სხვადასხვა სახეობის მცენარეთა მდიდარი „კოლექცია“, რაც ძვირფასი მასალაა მაღალი მთიანეთის ეკოსისტემის შესასწავლად. თანამედროვე უზუსტესი აპარატურა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, იძლევა მცენარის, მისი ყველა პარამეტრის სრულ დახასიათებას. ამ მონაცემების საფუძველზე მუშავდება პროაქტიული რეკომენდაციები.

— თანამედროვე ეკოლოგიურ მეცნიერებაში გაიზარდა საკვლევი საკითხების რიცხვი, რომელთა გადაწყვეტაც დამოკიდებულია ავტომატიზებულ სისტემებსა და კომპიუტერული მართვის ხელსაწყოებზე, თქვა ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცრიშვილმა. — გაზომვითი ტექნიკის მეოხებით გამოვიკვლიეთ მაღალმთიანეთის სხვადასხვა ზედა სარტყლის 50-ზე მეტი სახეობის მცენარე. საველე პირობებში პირველად გამოვიყენეთ ბრემენის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შექმნილი მიკროპროცესორები. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ უდავოა პორტატიული აპარატურის უპირატესობა. იგი საჭიროა მაღალმთიანეთის პირობებში, სადაც ძნელია ტექნიკის ატანა.

„უახზეთის ერთობლივი მუშაობა წარმოგვიდგა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ტემპერატურის რეჟიმის, მზის რადიაციის, წყლის ბალანსისა და მაღალი მთის ფლორის სხვა პარამეტრების განსაზღვრა საერთო ბიოლოგიური კანონზომიერების გამოსავლენად. უნდა გამოგვერკვია მაღალმთიანეთში არსებობის სხვადასხვა პირობებთან მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმი. განსაკუთრებით ეხებოდა ეს იმას, თუ როგორ ეგუებიან ისინი ამ რეგიონის ექსტრემალურ პირობებს, ანუ იმას, თუ რამდენად შესწევთ უნარი დიდხანს გაუძლონ უწყლობას და ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს. ისეთი მრავალწლოვანი მცენარეები, როგორიც არის მდელოს თივაქასრა, ჭრელი შვრიელა და სხვები, შეიძლება დაითესოს კულტურულ საძოვრებზე და გამოვიყენოთ მდელოების ბალახის საფარის გასაუმჯობესებლად. ეს ხელს შეუწყობს საკვები ბაზის არსებითს გაფართოებას მთის მეცხოველეობისათვის.

გაგრძელდება თანამშრომლობა საზღვარგარეთელ კოლეგებთან. ბრემენის უნივერსიტეტთან კონტაქტების გარდა ჩვენ დიდი ხანია ურთიერთობა გვაქვს ავსტრიის ინსბრუკის უნივერსიტეტის მეცნიერებთან. ერთობლივი კვლევა წარმოებს „ადამიანი და ბიოსფერო“ საერთაშორისო პროგრამის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ალპური მეცოველობის დაცვას, მათს რაციონალურ გამოყენებას.

გგზავრების წინ ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორმა კ. ხ. კრეებმა საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ილაპარაკა ერთობლივი მუშაობის შესახებ. — ჩვენ კმაყოფილები ვართ გამოკვლევით, თქვა მან. მუშაობა საინტერესო და ნაყოფიერი იყო. ქართველ კოლეგებს მაღალი მთის ფლორის დაცვის დიდი გამოცდილება აქვთ. ჩვენ საშუალება მოგვეცა შეგვემოწმებინა მაღალი მთის რთული პირობებში პორტატიული კომპიუტერების ეფექტიანობა. მე და ჩემი კოლეგები ვამპირებთ განვაგრძოთ თანამშრომლობა ქართველ სპეციალისტებთან.

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲡᲙᲐᲒᲖᲔ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). რევაზ რევაზის ძე ყვავაძემ ხრესილის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ერთ ნაწ ხილეკენკოვანი ღვინის ქარხანაში მუშაობდა. იგი საავადმყოფულო-სამხედრო სამსახურშიც აქედან გაიწვიეს.

იმ სამხედრო ნაწილს, სადაც რ. ყვავაძე მსახურობდა, სამხედრო ობიექტის შშენებლობა დაევალა. სასწრაფოდ დაკომპლექტდა ბრიგადები. ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელობა რევაზს დაევალა. ქართველმა ჯარისკაცმა საქმეს დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი, დარაზმა ბრიგადის წევრები ავალებში მაღალხარისხოვანად, შემჭიდროებულ ვადებში შესასრულებლად და მიზანსაც მიაღწია — ბრიგადამ ნაწილის მეთაურთა მადლობა და შექება დაიმსახურა.

ამავე ადგილას, ბრიგადის ფოტოზე — (ზევით) ბ. ბოროტოგანოვი, ბ. ბოროტოგანოვი, ბ. ბოროტოგანოვი,